მუნიციპალიტეტში წარსადგენი საპროექტო იდეის ფორმა

პრობლემის აღწერა	წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი განლაგებულია გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ამაღლების მთის ფერდობზე. კომპლექსის მთავარი ნაგებობაა ნახევრად კლდეში ნაკვეთი, მცირე ზომის იოანე ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია. ფერდობის ქვედა ნაწილში კიდევ 4 გამოქვაბულია (სავარაუდოა, რომ სალოცავის მოვალეობას ასრულებდა). მონასტრის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი კლდეშია გამოკვეთილი, მშენებლებს მხოლოდ დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლის ნახევარი აუგიათ. მკვლევართა ნაწილი არქიტექტურული მონაცემების მიხედვით, მას VI საუკუნის ძეგლად მიიჩნევს. კლდეში გამოკვეთილი ეკლესიისა და სენაკების გამო უდაბნოს გურიის ვარძიას უწოდებდნენ. სამონასტრო კომპლექსი მუნიციპალიტეტის მთავარი უნიკალური პოტენციალის მემკვიდრეობის ძეგლია. მას მოსალოცად და ტურისტული მიზნით მრავალი ვიზიტორი სტუმრობს, მაგრამ გაუმართავი საგზაო ინფრასრუქტურის გამო ვიზიტორებს მნიშვნელოვანი დაბრკოლება ექმნება სამონასტრო კომპლექსზე წვდომაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ვიზიტორების ჯგუფები ვერ ახერხებენ კომპლექსის მონახულებას, რადგან სამგზავრო ტრანსპორტის უმეტესობა ლოკაციამდე ვერ ადის და ვიზიტორები იძულებულია დარჩენილი მანძილი ფეხით დაფაროს, რაც ყველას არ შეუძლია და შედეგად ვერ ახერხებს კომპლექსის მონახულებას.
პრობლემის გადაწყვეტის გზა და პროექტის სახელწოდება	**უდაბნოს მონასტრის ტურისსტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**
პროექტის განხორციელებით დასადგომი სარგებელი და შედეგი	• გაზრდილია მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი • გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში • გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები • ადგილობრივი მოსახლეობა და ვიზიტორები სარგებლობს შექმნილი ტურისტული ინფრასტრუქტურით.
დაინტერესებული პირები	1. 2. 3. 4. 5. 6. 7.

	8. 9. 10.

საპროექტო იდეის წარმდგენი ორგანიზაციების წარმომადგენლების ხელმოწერები:

1.

2.

3. მეხრული ხიხარულიძე